

არაჩანაცვლებადი ტოკენების (NFT-ების) საინვესტიციო-სამართლებრივი განზომილება

დღესდღეობით არაჩანაცვლებადი ტოკენები (შემდგომში – NFT-ები) გლობალურად ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემაა. აღნიშნულს ამყარებს ის ფაქტი, რომ NFT-ების მთლიანი ბაზრის ღირებულება არის „დაახლოებით 31,4 მილიარდი აშშ დოლარი.“¹ თავდაპირველად, 2020 წელს, ის შეადგენდა 85,7 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო 2021 წელს მიაღწია 19,6 მილიარდ აშშ დოლარს.² წინამდებარე სტატია კონცენტრირდება ე.წ. NFT პროექტების საინვესტიციო-სამართლებრივ განზომილებაზე, რომელთა ფარგლებშიც ხდება მრავალი ცალკეული NFT-ისგან შემდგარი NFT კოლექციების გასაყიდად შეთავაზება საზოგადოებისთვის.

საინვესტიციო სამართალზე კონცენტრირების მიზეზი არის ის, რომ ამ სფეროში არსებობს ყველაზე მეტი სამართლებრივი სიცხადე ციფრულ აქტივებთან მიმართებით (თუმცა თვითონ NFT-ები არცერთ იურისდიქციაშია რეგულირებული). აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების მარეგულირებელმა კომისიამ (შემდგომში – SEC) დაადგინა, რომ ციფრული კორპორაციის მიერ საჯაროდ შეთავაზებული ციფრული აქტივები წარმოადგენდა საინვესტიციო ხელშეკრულებებს.³ თუმცა NFT პროექტები არ წარმოადგენს კორპორაციას: NFT-ის ფლობა ადასტურებს NFT კოლექციის ნაწილის ფლობას და არა კომპანიაში წილის ფლობას. ამით იქმნება ბუნდოვანება იმის თაობაზე, არის თუ არა NFT პროექტი საინვესტიციო ხელშეკრულება, რამდენადაც SEC-ს ჯერ არ გამოუცია სახელმძღვანელო მითითებები NFT-ების თაობაზე.

წინამდებარე სტატია განიხილავს, შესაძლებელია თუ არა, NFT პროექტები წარმოადგენდეს საინვესტიციო ხელშეკრულებებს აშშ-ის სამართლის ჩრილში, ასევე აანალიზებს NFT-ებს და NFT პროექტებს საქართველოს სამართლის ჩრილში, რომელიც ამჟამად არ შეიცავს მითითებებს ციფრული აქტივების თაობაზე. ამ მხრივ წინამდებარე სტატია იქნება ერთ-ერთი პირველი კვლევა, რომელიც მიეძღვნება საქართველოს სამართლის ჩრილში NFT-ების ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: NFT, NFT პროექტები, საინვესტიციო ხელშეკრულება.

1. შესავალი

უპირველესად, მნიშვნელოვანია მოკლედ განიმარტოს თუ რა არის ბლოკჩეინი, ციფრული აქტივი, ტოკენი და NFT. ბლოკჩეინის კარგ განმარტებას შეიცავს არიზონას შტატის ელექტრონული ტრანზაქციების აქტი, რომლის მიხედვითაც ბლოკჩეინი არის „დეცენტრალიზებული რეესტრის ტექნოლოგია, რომელიც იყენებს განაწილებულ, დე-

* ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

¹ Melinek J., Open Sea Polygon NFT Sales On Track to Hit 2.2M by End of January, Blockworks, 2022, <[² იქვე.](https://blockworks.co/opensea-polygon-nft-sales-on-track-to-hit-2-2m-by-end-of-january/#:~:text=The%20total%20market%20capitalization%20of,from%201confirmation%20and%20CoinMarketCap%2C%20respectively.> [06.01.2022].</p></div><div data-bbox=)

³ The United States Securities and Exchange Commission, Report of Investigation Pursuant to Section 21(a) of the Securities Exchange Act of 1934: The DAO, Exchange Act Rel. No. 81207, 2017, 15, <<https://www.sec.gov/litigation/investreport/34-81207.pdf>> [12.06.2022].

ცენტრალიზებულ, გაზიარებულ და გამრავლებულ რეესტრს.⁴ იქვე დაზუსტებულია, რომ ბლოკჩეინის მონაცემები „დაცულია კრიპტოგრაფიით, არის არაშეცვლადი და შემონმებადი“, რითაც უზრუნველყოფილია „არაცენზურირებადი სიმართლე.“⁵

რაც შეეხება ციფრულ აქტივებს, საფონდო ბირჟების მარეგულირებელმა კომისიამ (შემდგომში – SEC) თავის განცხადებაში განმარტა ისინი როგორც აქტივები, რომლებიც „გამოშვებული და გადაცემულია განანილებული რეესტრის (...) ტექნოლოგიით.“⁶ ტოკენები, თავის მხრივ, არის „ციფრული აქტივების უნიკალური სახეობა, რომელიც იყენებს კრიპტოგრაფიას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ციფრული აქტივების ნამდვილობა ტრანზაქციებისთვის უსაფრთხო, განანილებული ქსელის შექმნით.“⁷ ტოკენის სამართლებრივი განმარტება განერილია ლიხტენშტაინის კანონმდებლობით, რომელიც განსაზღვრავს ტოკენს როგორც სანდო ტექნოლოგიის (უმეტესად ბლოკჩეინის) ფარგლებში არსებულ ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს „მოთხოვნებს ან ნევრობის უფლებებს ნებისმიერი პირის მიმართ, უფლებებს ნივთებზე ან სხვა აბსოლუტურ ან ფარდობით უფლებებს.“⁸ აგრეთვე, ტოკენს არ აქვს „თანდაყოლილი ღირებულება“, მაგრამ, როგორც აღინიშნა, „ის დაკავშირებულია საფუძვლად მყოფ ქონებასთან, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ღირებულების რამ.“⁹

რაც შეეხება NFT-ებს, ამჟამად არ არსებობს მათი უნივერსალური განმარტება, თუმცა არსობრივად NFT-ები არის „საკუთრების სერტიფიკატები, რომლებიც შენახულია ბლოკჩეინზე და, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ციფრულ აქტივთან.“¹⁰ ამ მხრივ NFT არის „კონკრეტულ აქტივზე ფიზიკური საკუთრების ევოლუცია.“¹¹ NFT-ის ცენტრალური მახასიათებელი არის მისი არაჩანაცვლებადობა: ის არ შეიძლება დაიყოს იდენტურ ნაწილებად ან გაიცვალოს მსგავს ტოკენში, რითაც იქმნება „დადასტურებადი

⁴ Article 5, §44-7061, Point E, Sub-point 1 of Arizona Revised Statutes, Title 44 – Trade and Commerce, Chapter 26 – Electronic Transactions Act, Thomson Reuters, <<https://www.azleg.gov/viewdocument/?docName=https://www.azleg.gov/ars/44/07061.htm>> [01.06.2022].

⁵ იქვე.

⁶ The United States Securities and Exchange Commission, Statement on Digital Asset Securities Issuance and Trading, 2018, <<https://www.sec.gov/news/public-statement/digital-asset-securities-issuance-and-trading>> [12.06.2022].

⁷ Levin R. B., Tran K., The Regulation of Non-Fungible Tokens in the United States, Fintech Laws and Regulations, Beauchamp T., Wink S., Valdez Y. (eds.), Global Legal Insights, 3rd ed., New York, 2021, <<https://www.globallelegalinsights.com/practice-areas/fintech-laws-and-regulations/2-the-regulation-of-non-fungible-tokens-in-the-united-states>> [11.06.2022], იხ. ციტირება: Levin R. B., O'Brien A. A., Zuberi M. M., Real Regulation of Virtual Currencies, Lee Kuo Chuen D. (ed.), Handbook of Digital Currency: Bitcoin, Innovation, Financial Instruments, and Big Data, Academic Press, Amsterdam, 2015, 331-332.

⁸ Gesetz über Token und VT-Dienstleister, Liechtensteinisches Landesgesetzblatt, 2019-301, 950.6, 01/01/2020.

⁹ Natarajan H., Krause S., Gradstein H., Distributed Ledger Technology and Blockchain, FinTech Note No. 1, World Bank, International Bank for Reconstruction and Development, Washington DC, 2017, iv, <<https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/29053>> [12.06.2022].

¹⁰ Bine P., Robertson E., Toms S., Koenigsberg S., Kari N., Reeves A. B., Vianesi G., Regulatory Approaches to Nonfungible Tokens in the EU and UK, Skadden, Arps, Slate, Meagher & Flom LLP, 2021, 1, <<https://www.skadden.com/insights/publications/2021/06/regulatory-approaches-to-nonfungible-tokens>> [12.06.2022].

¹¹ Di Bernardino C., Chomczyk Penedo A., Ellul J., Ferreira A., Von Goldbeck A., Herian R., Siadat A., Siedler N., NFT – Legal Token Classification, EU Blockchain Observatory and Forum, 2021, 2, <<https://www.eublockchainforum.eu/research-paper/nft-legal-token-classification>> [10.06.2022].

ციფრული იშვიათობა“, რაც არის NFT-ების „მთავარი მიზანი.“¹² აგრეთვე, NFT-ები შესაძლოა ფიზიკურ აქტივებსაც უკავშირდებოდეს.¹³

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს NFT კოლექციების ცნებას როგორც სტატიის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს. ასეთი კოლექცია სავაჭრო პლატფორმაზე იდება ერთი ანგარიშიდან, პროფილიდან, რომლის სახელიც უმეტესად ემთხვევა კოლექციის სახელს. ასეთი ანგარიშის მეშვეობით ხდება NFT კოლექციის გასაყიდად შეთავაზება საზოგადოებისთვის. სავაჭრო პლატფორმაზე რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია იყიდოს მთლიანი კოლექცია ან ცალკეული NFT-ები. მომხმარებლებს შეუძლიათ შეინარჩუნონ NFT-ები ან გადაყიდონ ისინი და მიიღონ მოგება. შესაბამისად, ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ NFT-ების მფლობელები ფლობენ NFT-ებს, როგორც აქციონერები ფლობენ აქციებს კომპანიაში, მაგრამ არ ხდება დივიდენდების გადახდა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, „გამომშვები“ ანგარიშის უკან მდგომი გუნდი იღებს ყველა ზომას პროექტის რეკლამირებისა და მარკეტინგისთვის, რათა გაიზარდოს როგორც მთელი კოლექციის, ისე ცალკეული NFT-ების ფასი. პრაქტიკაში ასეთ კოლექციებს უწოდებენ NFT პროექტებს. დიდ NFT პროექტებს პრაქტიკულად აქვთ სრულფასოვანი ბიზნესის სტრუქტურა. ამ ყველაფრის ზუსტი მაგალითია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული NFT პროექტი Bored Ape Yacht Club (შემდგომში – BAYC).

2. NFT-ები აშშ-ის ფასიანი ქაღალდების სამართლის გადმოსახედიდან

2.1. საინვესტიციო ხელშეკრულების კონცეფცია

კვლევის მიზნის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შეფასდეს, არის თუ არა NFT პროექტი საინვესტიციო ხელშეკრულება. ზოგადად ფასიანი ქაღალდების განმარტება, აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების აქტის (შემდგომში – ფქა) თანახმად, არის ძალიან ფართო და მოიცავს „ნებისმიერ უფლებას ან ინსტრუმენტს, ზოგადად ცნობილს, როგორც ფასიან ქაღალდს.“¹⁴ აქტივებს შორის მოხსენიებულია კონკრეტულად საინვესტიციო ხელშეკრულებაც. თუმცა თვითონ ეს უკანასკნელი არ არის განმარტებული ფქა-ს მიერ. SEC-ის ფართო ინტერპრეტაციის მიდგომა მას საშუალებას აძლევს, გაავრცელოს თავისი ძალაუფლება ნებისმიერ აქტივზე, რომლის მიზანიცაა მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა.¹⁵

¹² *Ibáñez L., Hoffman M. R., Choudhry T.*, Blockchains and Digital Assets, University of Southampton, EU Blockchain Observatory and Forum, 2021, 3, <<https://www.eublockchainforum.eu/knowledge>> [09.06.2022].

¹³ *Di Bernardino C., Chomczyk Penedo A., Ellul J., Ferreira A., Von Goldbeck A., Herian R., Siadat A., Siedler N.*, NFT – Legal Token Classification, EU Blockchain Observatory and Forum, 2021, 2, <<https://www.eublockchainforum.eu/research-paper/nft-legal-token-classification>> [10.06.2022].

¹⁴ Subparagraph 1 of Paragraph “a” of Section 2 of The United States Code, Title 15 – Commerce and Trade, Chapter 2A – Securities and Trust Indentures, Securities Act of 1933, Sub-chapter I – Domestic Securities, Statute №48, 74, 27/05/1933, <<https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-1884/pdf/COMPS-1884.pdf>> [10.06.2022].

¹⁵ *Levin R. B., Waltz P., LaCount H.*, Betting Blockchain Will Change Everything – SEC and CFTC Regulation of Blockchain Technology, *Lee Kuo Chuen D., Deng R. (eds.)*, Handbook of Blockchain, Digital Finance, and Inclusion, Vol. 2, Academic Press, Singapore, 2017, 200.

აშშ-ის სასამართლოებიც იზიარებს ასეთ ფართო მიდგომას.¹⁶ აშშ-ის სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ ტერმინი „საინვესტიციო ხელშეკრულება“ გულისხმობს „ხელშეკრულებას, ტრანზაქციას ან სქემას, რომლის ფარგლებშიც პირი ახდენს თავისი ფულის ინვესტირებას საერთო საქმიანობაში და უზრუნველყოფს მოლოდინი სარგებლისა, რომელიც მომდინარეობს მხოლოდ რეკლამის განმავრცოვების ან მესამე პირის ძალისხმევით. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, საქმეში ნიღები დასტურდება თუ არა ოფიციალური მონობებით.“¹⁷ თავის მხრივ, ტესტი იმის დასადაგენად, არის თუ არა სამართლებრივი ურთიერთობა საინვესტიციო ხელშეკრულება, განისაზღვრა საქმეში *SEC v. W.J. Howey Co* (შემდგომში – *Howey*) და ცნობილია როგორც *Howey*-ის ტესტი: აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზეა საინვესტიციო ხელშეკრულება, როდესაც „სქემა მოიცავს ფულის ინვესტირებას საერთო საქმიანობაში, სხვათა ძალისხმევით წარმოშობილი სარგებლის გონივრული მოლოდინით. თუ ეს ტესტი დაკმაყოფილებულია, უმნიშვნელოა, არის საქმიანობა სპეკულაციური თუ არა ან იყიდება თუ არა თანდაყოლილი ღირებულების მქონე ან მისი არმქონე ქონება.“¹⁸

Howey-ის ტესტის თითოეული წინაპირობა თანმიმდევრობით იქნება განხილული NFT პროექტების ჭრილში.

2.2. NFT პროექტები და *Howey*-ის ტესტი

2.2.1. ფულის ინვესტირება

SEC-მა თავის სამართლებრივ ჩარჩოში „ციფრული აქტივების საინვესტიციო ხელშეკრულებისმიერი ანალიზი“ (შემდგომში – ციფრული აქტივების ჩარჩო) განმარტა, რომ ციფრული აქტივების გაყიდვა აკმაყოფილებს ფულის ინვესტირების წინაპირობას *Howey*-ის ტესტის ფარგლებში.¹⁹ თუმცა ციფრული აქტივები, მათ შორის NFT-ები, გადაეცემა მყიდველებს არა ფულის, არამედ კრიპტოვალუტის სანაცვლოდ. ამ არგუმენტის მიუხედავად, SEC-მა თავის სხვა რეპორტში (შემდგომში – DAO-ს რეპორტი; DAO იშიფრება, როგორც დეცენტრალიზებული ავტონომიური ორგანიზაცია) დააზუსტა, რომ ტერმინი „ინვესტიცია“ უნდა განიმარტოს ფართოდ და მოიცვას არამხოლოდ ფული, არამედ ინვესტიციის სხვა ფორმებიც.²⁰ აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაც პირდაპირ უთითებს, რომ ინვესტიციამ ფულის გარდა „შეიძლება მიიღოს (...) სხვა გაცვლადი ღირებულების ფორმა.“²¹ სასამართლომ *Howey*-ში დაადგინა, რომ ფქა-ში არსებული

¹⁶ The United States Securities and Exchange Commission v. Edwards, (2004), 540 US 389. See also: *Reves v. Ernst & Young*, (1990), 494 US 56.

¹⁷ The United States Securities and Exchange Commission v. W.J. Howey Co., (1946), 328 US 293, 298-299.

¹⁸ იქვე, 301.

¹⁹ The United States Securities and Exchange Commission, Framework for “Investment Contract” Analysis of Digital Assets, 2019, <<https://www.sec.gov/corpfin/framework-investment-contract-analysis-digital-assets>> [12.06.2022].

²⁰ The United States Securities and Exchange Commission, Report of Investigation Pursuant to Section 21(a) of the Securities Exchange Act of 1934: The DAO, Exchange Act Rel. No. 81207, 2017, 11, <<https://www.sec.gov/litigation/investreport/34-81207.pdf>> [12.06.2022]. იხ. აგრეთვე: *Uselton v. Commercial Lovelace Motor Freight, Inc.*, 940 F.2d 564, 574 (10th Cir. 1991).

²¹ *Uselton v. Commercial Lovelace Motor Freight, Inc.*, 940 F.2d 564, 574 (10th Cir. 1991).

ფასიანი ქაღალდების განმარტებას „აქვს ადაპტაციის უნარი, რათა მოერგოს უთვალავ და ცვალებად სექტორებს, შექმნილებს მათ მიერ, ვისაც სურს სხვათა ფულის გამოყენება სარგებლის შეპირებით.“²² ლოგიკურად, ასეთი ადაპტაცია ვრცელდება ტექნოლოგიურ პროგრესზეც. შედეგად, აშშ-ის სასამართლოები აქცენტს აკეთებენ ინვესტიციის „შინაარსზე“ და „ეკონომიკურ რეალობაზე“, ვიდრე მის კონკრეტულ ფორმაზე ან დასახელებაზე.²³ შესაბამისად, აღნიშნულ საქმეებზე დაყრდნობით, SEC-მა DAO-ს რეპორტში დაადგინა, რომ ინვესტორებმა ჩადეს ფული DAO-ს საქმეში, როდესაც მათ მოახდინეს ეთირიუმის კრიპტოვალუტის გადაცემა DAO-ს ტოკენების სანაცვლოდ.²⁴

ასევე საინტერესოა SEC-ის საგამოძიებო საქმე კომპანია Tomahawk Exploration LLC-ის წინააღმდეგ (შემდგომში – Tomahawk), რომელიც პირდაპირ ეხებოდა ბლოკჩეინზე ტოკენების გამოშვებას. გამოძიებისას SEC-მა *Howey*-ზე დაყრდნობით დაადგინა, რომ Tomahawk-ის მიერ ე.წ. „საბონუსე პროგრამის“ ფარგლებში გამოშვებული ტოკენები წარმოადგენდა ფასიან ქაღალდებს, რადგან ტოკენების მიმღები ინვესტორები სანაცვლოდ ახორციელებდნენ „ონლაინ სარეკლამო და მარკეტინგულ მომსახურებებს“, რაც მიზნად ისახავდა ტოკენის ღირებულების გაზრდას.²⁵ ამ სიტუაციის მსგავსად, SEC-მა ციფრული აქტივების ჩარჩოში განმარტა, რომ ტოკენების ე.წ. „ეარდროპები“, რომლებიც გულისხმობს ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის ტოკენების უფასოდ გადაცემას მარტივი სარეკლამო ან მარკეტინგული აქტივობების განხორციელების სანაცვლოდ, „წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების გაყიდვას ან მიწოდებას.“²⁶ დღეს პრაქტიკულად ყველა NFT პროექტი იყენებს „ეარდროპებს“ შესაბამისი NFT-ების რეკლამირებისთვის.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ NFT პროექტები აკმაყოფილებს *Howey*-ის ტესტის პირველ წინაპირობას.

2.2.2. საერთო საქმიანობა

ამჟამად არ არსებობს პირდაპირი სახელმძღვანელო მითითება იმის თაობაზე, არის თუ არა NFT პროექტი საერთო საქმიანობა. არსებობს მხოლოდ DAO-ს ზემოაღნიშნული საქმე, სადაც SEC-მა დაადგინა, რომ DAO, რომელიც არსობრივად იყო ციფრული, ავტომატიზებული კორპორაცია, წარმოადგენდა საერთო საქმიანობას,²⁷ რადგან მისმა შემქმნელებმა მოიზიდეს კაპიტალი ტოკენების შეთავაზების განხორციელებით,

²² *The United States Securities and Exchange Commission v. W.J. Howey Co.*, (1946), 328 US 293, 299.

²³ *Tcherepnin v. Knight*, (1967), 389 US 332, 336. იხ. აგრეთვე: *United Housing Found., Inc. v. Forman*, (1975), 421 US 837, 849.

²⁴ *The United States Securities and Exchange Commission*, Report of Investigation Pursuant to Section 21(a) of the Securities Exchange Act of 1934: The DAO, Exchange Act Rel. No. 81207, 2017, 11, <<https://www.sec.gov/litigation/investreport/34-81207.pdf>> [12.06.2022].

²⁵ *The United States Securities and Exchange Commission*, In re Tomahawk Exploration LLC, Securities Act Rel. No. 10530, 2018, 2, <<https://www.sec.gov/litigation/admin/2018/33-10530.pdf>> [10.06.2022].

²⁶ *The United States Securities and Exchange Commission*, Framework for “Investment Contract” Analysis of Digital Assets, 2019, <<https://www.sec.gov/corpfin/framework-investment-contract-analysis-digital-assets>> [12.06.2022].

²⁷ *The United States Securities and Exchange Commission*, Report of Investigation Pursuant to Section 21(a) of the Securities Exchange Act of 1934: The DAO, Exchange Act Rel. No. 81207, 2017, 11, <<https://www.sec.gov/litigation/investreport/34-81207.pdf>> [12.06.2022].

რომლის ფარგლებშიც გააერთიანეს არსებული აქტივები და „სამომავლო სარგებელი“ (ორივე გამოსატყულებელი ეთერიუმში) და ფლობდნენ მათ „DAO-ს ეთერიუმის ბლოკჩეინის მისამართზე.“²⁸ ზოგადად, SEC არ აკეთებს განსაკუთრებულ აქცენტს „საერთო საქმიანობის“ კომპონენტზე.²⁹ SEC არ აცალკევებს მას „ფულის ინვესტირების“ კომპონენტისგან და, ჩვეულებრივ, ადგენს, რომ „საერთო საქმიანობა“ არსებობს ციფრული აქტივების შეთავაზების შეთხვევაში, *Howey*-ის ტესტის ქრილში.³⁰

SEC-ისგან განსხვავებით, აშშ-ის სასამართლოები მეტ ყურადღებას უთმობენ „საერთო საქმიანობის“ კომპონენტს. აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა საერთოობას ყოფს ორ სახედ – ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. ჰორიზონტალური საერთოობის შემთხვევაში ყველა ინვესტორის აქტივები გაერთიანებულია და გადაჯაჭვულია ერთმანეთზე, მოგება ნაწილდება პროპორციულად და თითოეული ინვესტორისთვის მოგების პერსპექტივა დამოკიდებულია „მთლიანი საქმის წარმატებაზე.“³¹ ჰორიზონტალური საერთოობის ილუსტრაციაა DAO-ს შემთხვევა. თუმცა, ჰორიზონტალური საერთოობა არ მიესადაგება NFT პროექტებს: პირველ რიგში, NFT კოლექციები იქმნება და თავსდება სავაჭრო პლატფორმაზე NFT პროექტის გუნდის რესურსებით და არა წინასწარ მოზიდული კაპიტალის გამოყენებით. მეორე, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული NFT-ის ღირებულება დამოკიდებულია მთლიანი კოლექციის ღირებულებაზე, NFT არ არის აქცია ან სხვა სახის წილი. დღესდღეობით NFT-ებს ფლობენ როგორც საკოლექციო ერთეულებს და არა აქციებს და ისინი ადასტურებს NFT კოლექციის ნაწილის ფლობის ფაქტს და არა კომპანიაში წილის ფლობის ფაქტს. მესამე, NFT-ების მფლობელები არ იღებენ პროპორციულ მოგებას სტაბილურად და პროპორციულად.

რაც შეეხება ვერტიკალურ საერთოობას, ის ფოკუსირდება მხოლოდ „პრომოუტერსა და (...) ინვესტორებს შორის ურთიერთობაზე“,³² „მოგებისა და ზარალის პროპორციული განაწილება არ მოითხოვება“ და მოიცავს ორ ქვეკატეგორიას – ფართოსა და ვინროს.³³ აქ გასაკრვევია, რამდენად მიესადაგება NFT პროექტები ფართო ვერტიკალური საერთოობის მოდელს, რომელშიც ინვესტორთა აქტივების მომგებიანობა „დაკავშირებულია მხოლოდ პრომოუტერის ძალისხმევასთან.“³⁴ აშშ-ის სასამართლოები მიიჩნევენ, რომ „საერთო საქმიანობის“ წინაპირობა *Howey*-ის ტესტის ქრილში ვერ დაკმაყოფილდება ვერტიკალური საერთოობით,³⁵ თუ არ არსებობს დამატებითი შეთან-

²⁸ *The United States Securities and Exchange Commission, Report of Investigation Pursuant to Section 21(a) of the Securities Exchange Act of 1934: The DAO, Exchange Act Rel. No. 81207, 2017, 6, <<https://www.sec.gov/litigation/investreport/34-81207.pdf>> [12.06.2022].*

²⁹ *The United States Securities and Exchange Commission, In re Barkate, (2004), Exchange Act Rel. No. 49542, 57 S.E.C. 488, 496 n. 13, <<https://www.sec.gov/litigation/opinions/34-49542.htm>> [12.06.2022].*

³⁰ *The United States Securities and Exchange Commission, Framework for “Investment Contract” Analysis of Digital Assets, 2019, <<https://www.sec.gov/corpfin/framework-investment-contract-analysis-digital-assets>> [12.06.2022].*

³¹ *Revak v. SEC Realty Corp., 18 F.3d 81, 87 (2d Cir. 1994), see citation: Hart v. Pulte Homes of Michigan Corp., 735 F.2d 1001, 1004 (6th Cir. 1984).*

³² *Ibid, see citation: The United States Securities and Exchange Commission v. Koscot Interplanetary, Inc., 497 F.2d 473, 479 (5th Cir. 1974).*

³³ იქვე.

³⁴ იქვე, იხ. ციტირება: *Long v. Shultz Cattle Co., Inc., 881 F.2d 129, 140-141 (5th Cir. 1989).*

³⁵ იქვე, 88.

ხმება ინვესტორთა აქტივების მართვის თაობაზე, რომლის თანახმადაც ინვესტორები იღებენ სარგებელს და ეს პირდაპირ უკავშირდება ბიზნესის წარმართველი გუნდის მენეჯერულ და მსგავს აქტივობებს.³⁶ როგორც აღინიშნა, NFT-ების შემთხვევაში პროექტის უკან მდგომი გუნდი, ჩვეულებრივ, ახდენს NFT პროექტის რეკლამირებას და მისი ღირებულება პირდაპირ დამოკიდებულია ასეთ რეკლამირებასა და მარკეტინგზე. თუმცა, რაც შეეხება ზემოაღნიშნულ „დამატებით შეთანხმებას“, NFT პროექტების ჭრილში მისი არსებობა უნდა დადგინდეს კონკრეტული NFT პროექტის გარემომცველი ფაქტების გათვალისწინებით, იმავდროულად შესაბამისი პლატფორმის წესებისა და პირობების მხედველობაში მიღებით.

ის საკითხი, NFT პროექტი წარმოადგენს თუ არა საერთო საქმიანობას, ხდება კიდევ უფრო ბუნდოვანი SEC-ისა და აშშ-ის სასამართლოების განსხვავებული მიდგომების გამო. მიუხედავად იმისა, რომ SEC-მა ზემოაღნიშნულ DAO-ს ტოკენებს მიანიჭა ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია, შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, SEC აირჩევს თუ არა იმავე მიდგომას NFT-ების მიმართ, რადგან NFT პროექტებს არ აქვს ზუსტად სააქციო საზოგადოების მახასიათებელი თვისებები. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ბუნდოვანია, წარმოადგენს თუ არა NFT პროექტები საერთო საქმიანობას *Howey*-ის ტესტის გაგებით.

2.2.3. მოგების გენერირება მხოლოდ სხვა პირთა ძალისხმევით

იმისათვის რომ მოგება „მოდიოდეს მხოლოდ სხვათა ძალისხმევით“, ასეთი ძალისხმევა უნდა იყოს „უეჭველად მნიშვნელოვანი, ის არსებითი მენეჯერული მოქმედებები, რომელიც გავლენას ახდენს საქმის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე.“³⁷ SEC-მა თავის ციფრული აქტივების ჩარჩოში ჩამოაყალიბა შესანიშნავი სახელმძღვანელო მითითებები იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა ციფრული აქტივის შემქმნელების (ან მათ მიერ განსაზღვრული მესამე პირების) მიერ გაღებული ძალისხმევა „სხვათა ძალისხმევას“ *Howey*-ის ტესტის ჭრილში.³⁸

საჭიროა აქვე ჩამოთვლილ იქნეს NFT პროექტების კონტექსტში ყველაზე რელევანტური კრიტერიუმები: შემქმნელებს აქვთ „ცენტრალური როლი“ პროექტის სამომავლო განვითარების მიმართულებათა დაგეგმვაში; ეს სრულად მიესადაგება NFT პროექტებს, რომელთა ფარგლებშიც შემქმნელები, პირველ რიგში, ადგენენ თავიანთი პროექტის ბიზნეს-გეგმას და შემდეგ ქმნიან ან ხელს უწყობენ „აქტივის ფასის“ შენარჩუნებას – ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, კონტროლის ქონა „ციფრული აქტივის შექმნასა და გამოშვებაზე“ და აქტივის „მინოდების შეზღუდვა“, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი რაოდენობრივი სიმცირე; აღნიშნული პუნქტი სრულად თავსებადია

³⁶ იქვე, 89.

³⁷ *The United States Securities and Exchange Commission, Framework for “Investment Contract” Analysis of Digital Assets, 2019*, <<https://www.sec.gov/corpfin/framework-investment-contract-analysis-digital-assets>> [12.06.2022], იხ. ციტირება: *The United States Securities and Exchange Commission v. Glenn W. Turner Enter., Inc.*, 474 F.2d 476, 482 (9th Cir.), certiorari denied, 414 U.S. 821, 94 S. Ct. 117, 38 L. Ed. 2d 53 (1973).

³⁸ იქვე.

NFT პროექტებთან, განსაკუთრებით, NFT-ების რაოდენობრივი სიმცირის კონტროლი, რამდენადაც NFT-ის კონცეფცია ფოკუსირდება იშვიათობასა და უნიკალურობაზე; საქმის უკან მდგომ გუნდს „აქვს განგრძობადი მენეჯერული ფუნქცია ციფრული აქტივის მიერ წარმოდგენილი მახასიათებლების ან უფლებების შესახებ (...) გადანყვეტილების მიღების კუთხით“, მაგალითად, „იმის განსაზღვრა, (...) სად მოხდება ციფრული აქტივით ვაჭრობა“ და „სხვა მენეჯერული (...) გადანყვეტილებების მიღება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ახდენს გავლენას ციფრული აქტივის წარმატებაზე (...) ან ღირებულებაზე“; ეს ნიშნავს, რომ „არსებობს არსებითი ფუნქციები ან ვალდებულებები, რომლებიც სრულდება ან რომელთა შესრულებასაც ელოდებიან“ პროექტის გუნდის მიერ „და არა“ მესამე პირთა არაორგანიზებული ჯგუფის მიერ; პროექტის შემქმნელები იტოვებენ ციფრული აქტივის მეორადი გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების ნაწილს; ეს პუნქტიც მიესადაგება NFT პროექტებს; მთლიანი საქმის უკან მდგომ გუნდს „საკუთრებაში აქვს ან აკონტროლებს საკუთრებას ინტელექტუალურ უფლებებზე“, რომლებიც უკავშირდება ციფრულ აქტივს; NFT პროექტების შემთხვევაში ეს ყოველთვის ასე არ არის, რამდენადაც პროექტების გუნდები, ჩვეულებრივ, ამჟღავნებენ იმ პირთა ვინაობას, რომლებმაც შექმნეს NFT-ების საფუძვლად მყოფი სახელოვნებო ნამუშევარი; თუ ფიქსირდება უკანასკნელი ორი კომპონენტი, ეს მიუთითებს, რომ ინვესტორები პროექტის შემქმნელებისგან „გონივრულად ელოდებიან“ „ძალისხმევის გაღებას, რათა მოხდეს ციფრული აქტივის (...) რეკლამირება და მისი ღირებულების გაზრდა.“³⁹

DAO-ს ზემოხსენებული ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო NFT პროექტი, არის კარგი პრაქტიკული მაგალითი SEC-ის იმ სახელმძღვანელო მითითებებთან მიმართებით, რომლებიც განხილულ იქნა ამ სტატიის წინა აბზაცში.. კერძოდ, DAO-ს შემქმნელებმა განახორციელეს კომპლექსური მენეჯერული აქტივობები, მათ შორის, ცალკე ვებგვერდების შექმნა პროექტის რეკლამირებისა და მარკეტინგისთვის, ინვესტორთა შეკითხვებზე პასუხის გაცემა სპეციალურ ფორუმებზე და ინვესტორთა ინფორმირება „იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიეცათ ხმა და განეხორციელებინათ თავიანთ ინვესტიციებთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები.“⁴⁰ ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ NFT პროექტები აკმაყოფილებს სხვათა მენეჯერული ძალისხმევის კომპონენტს *Howey*-ის ტესტის ქრილში, რამეთუ, როგორც აღინიშნა, NFT პროექტების, მაგალითად, BAYC-ის, უკან მდგომი გუნდები იყენებენ ინტენსიურ და კომპლექსურ მეთოდებს თავიანთი აქტივების რეკლამირებისა და მარკეტინგისთვის.

³⁹ *The United States Securities and Exchange Commission, Framework for “Investment Contract” Analysis of Digital Assets, 2019, <<https://www.sec.gov/corpfin/framework-investment-contract-analysis-digital-assets>> [12.06.2022], იხ. ციტირება: The United States Securities and Exchange Commission v. Glenn W. Turner Enter., Inc., 474 F.2d 476, 482 (9th Cir.), certiorari denied, 414 U.S. 821, 94 S. Ct. 117, 38 L. Ed. 2d 53 (1973).*

⁴⁰ *The United States Securities and Exchange Commission, Report of Investigation Pursuant to Section 21(a) of the Securities Exchange Act of 1934: The DAO, Exchange Act Rel. No. 81207, 2017, 12, <<https://www.sec.gov/litigation/investreport/34-81207.pdf>> [25.07.2017].*

2.2.4. სარგებლის გონივრული მოლოდინი

Howey-ის ტესტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია იმის შეფასება, ინვესტორებს ჰქონდათ თუ არა მოგების გონივრული მოლოდინი თავიანთი აქტივების პროექტში ინვესტირების ეტაპზე. SEC-მა თავის ციფრული აქტივების ჩარჩოში ფართოდ განმარტა ტერმინი „სარგებელი“ და დააზუსტა, რომ ის ასევე მოიცავს „სხვა სახის ფინანსურ მოგებას (...), რომელიც მომდინარეობს სხვების ძალისხმევიდან.“⁴¹ აგრეთვე, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „სარგებელი“ მოიცავს არამარტო დივიდენდებს და „სხვა პერიოდულ გადახდებს“, არამედ ასევე „ინვესტიციის გაზრდილ ღირებულებას.“⁴²

ეს უკანასკნელი პუნქტი განსაკუთრებით რელევანტურია NFT პროექტებისთვის. როგორც აღინიშნა, ძირითადად, თითოეული ინვესტორი ფლობს ცალკეულ NFT-ებს, როგორც საკოლექციო ერთეულს, მაგრამ სხვა სახის ინვესტორები, რომლებსაც სურთ თავიანთი NFT-ების გადაყიდვა, ელოდებიან იმას, რომ მათი ფასი გაიზრდება NFT პროექტის უკან მდგომი გუნდის ძალისხმევის ხარჯზე. ამ სიტუაციის კარგი ილუსტრაციაა BAYC. მეორად ბაზრებზე ციფრული აქტივების გადაყიდვის შესაძლებლობა განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რადგან ეს არის NFT პროექტების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი. *Tomahawk*-ში SEC-მა დაადგინა, რომ *Tomahawk Exploration LLC*-ის გუნდის მიერ ინვესტორებთან ონლაინკომუნიკაციისას გაკეთებულმა განცხადებებმა ინვესტორებს შეუქმნა მოლოდინი „სხვების ძალისხმევით გამომუშავებული სარგებლისა“, მათ შორის, იმ სარგებლისა, რომელიც წარმოიშობოდა „(...) მეორად სავაჭრო პლატფორმებზე TOM-ის ტოკენით ვაჭრობის შესაძლებლობიდან.“⁴³

ვინაიდან SEC-მა დაადგინა, რომ როდესაც კრიპტო პროექტის შემქმნელები ახორციელებენ „არსებით მენეჯერულ ძალისხმევას, რომელიც გავლენას ახდენს საქმის წარმატებაზე და ინვესტორები გონივრულად ელიან ამ ძალისხმევიდან სარგებლის წარმოშობას, მაშინ ... სარგებლის გონივრული მოლოდინის“ წინაპირობა დაკმაყოფილებულია,⁴⁴ ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ NFT პროექტების ინვესტორებს აქვთ სარგებლის გონივრული მოლოდინი.

კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ NFT პროექტები ვერ აკმაყოფილებს *Howey*-ის ტესტის ყველა წინაპირობას. თუმცა მხოლოდ დრო აჩვენებს, რა მიდგომას აირჩევს SEC კონკრეტულად NFT პროექტებთან მიმართებით. ამჟამინდელი გაურკვევლობის მიუხედავად, უდიდესი ალბათობით, SEC დიდი NFT პროექტების უკან მდგომ კომპანიებს აღიარებს ფასიანი ქაღალდების ემიტენტებად, ხოლო NFT პროექტებს –

⁴¹ *The United States Securities and Exchange Commission, Framework for “Investment Contract” Analysis of Digital Assets*, 2019, <<https://www.sec.gov/corpfin/framework-investment-contract-analysis-digital-assets>> [12.06.2022].

⁴² *The United States Securities and Exchange Commission v. Edwards*, (2004), 540 US 389, 394.

⁴³ *The United States Securities and Exchange Commission, In re Tomahawk Exploration LLC*, Securities Act Rel. No. 10530, 2018, 7, <<https://www.sec.gov/litigation/admin/2018/33-10530.pdf>> [10.06.2022].

⁴⁴ *The United States Securities and Exchange Commission, Framework for “Investment Contract” Analysis of Digital Assets*, 2019, <<https://www.sec.gov/corpfin/framework-investment-contract-analysis-digital-assets>> [12.06.2022].

საინვესტიციო ხელშეკრულებებზე, მიუხედავად NFT-ების არაგვაროვნულობისა. ამისთვის არსებობს ორი პრაქტიკული მიზეზი: პირველი, სამართლებრივი სიცხადის დამკვიდრება ინვესტორთა ინტერესების დაცვის კუთხით და, მეორე, ხელისუფლების სურვილი, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას სოლიდური NFT პროექტების განხორციელებით მიღებული შემოსავლების გადასახადებით დაბეგვრის საშუალებით.

3. NFT პროექტები ქართული სამართლის ჭრილში

3.1. კრიპტოაქტივების რეგულირება საქართველოში

ამჟამად კრიპტოაქტივები, ისევე როგორც NFT-ები, პრაქტიკულად არ არის რეგულირებული საქართველოში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს №201 საჯარო გადაწყვეტილება (შემდგომში – №201 საჯარო გადაწყვეტილება) შეიცავს კრიპტოაქტივის განმარტებას, რომლის თანახმადაც „ერთრანგიანი (დეცენტრალიზებული, Peer-to-peer) ქსელით, ის არ საჭიროებს სანდო შუამავალს, და ფუნქციონირებს კომპიუტერების ქსელში მომუშავე განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის (Distributed ledger technology) პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.“⁴⁵ თუმცა №201 საჯარო გადაწყვეტილება აზუსტებს, რომ ეს განმარტება ემსახურება მხოლოდ აღნიშნული ნორმატიული აქტის მიზნებს და საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა კრიპტოაქტივის დეფინიციას.⁴⁶ აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან სამართლებრივ ხარვეზად გლობალურ ეკონომიკაში NFT-ების მზარდი როლის გათვალისწინებით.

3.2. NFT როგორც კერძო სამართლის ობიექტი

ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ კრიპტოაქტივები, მათ შორის, NFT-ებიც, შესაძლოა წარმოადგენდეს კერძო სამართლის ობიექტებს, როგორც ეს განმარტებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) მიერ: „ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.“⁴⁷ NFT-ებს უეჭველად შეუძლიათ მხოლოდ ბრუნვიდან ამოღებლობის წინაპირობის დაკმაყოფილება. სხვა კომპონენტები საკამათოა.

შეიძლება კამათი იმის შესახებ, რომ NFT-ები შესაძლოა წარმოადგენდეს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს სსკ-ის თანახმად, რადგან მათი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუზღუდავად, თავიანთი ვირტუალური ანგარიშების საშუალებით, აღნიშნული არ არის კანონით აკრძალული და არ ეწინა-

⁴⁵ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 28 ივნისის №201 საჯარო გადაწყვეტილება „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“, 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი, ვებგვერდი, 01/07/2019.

⁴⁶ იქვე, 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

აღმდეგება ზნეობრივ ნორმებს⁴⁸ (ამასთან, ეს უკანასკნელი წინაპირობა დამოკიდებულია იმაზე, დაკავშირებულია თუ არა NFT სენსიტიურ საგანთან). თუმცა NFT-ის ქონებრივი განზომილება რჩება საკამათოდ, რადგან ზოგადად ტოკენს, როგორც აღინიშნა, არ აქვს თანდაყოლილი ღირებულება. NFT-ების შექმნა, ვაჭრობა და სხვა დაკავშირებული აქტივობები საქართველოში ნებადართულია, რამდენადაც ეს აქტივობები არ არის აკრძალული კანონით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირდაპირ არ რეგულირდება.⁴⁹

ბუნდოვანია, რა სტატუსი მიენიჭება NFT-ებს, თუ მოხდება მათი რეგულირება საქართველოში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი (შემდგომში – საგადასახადო კოდექსი) კრიპტოაქტივების მიმართ აშკარა ფორმით გამორიცხავს საქონლის სტატუსს.⁵⁰ აღნიშნულის ოფიციალური მიზეზი არის ის, რომ კრიპტოაქტივები, განსაკუთრებით, კრიპტოვალუტა, „გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ფულის ალტერნატივა“,⁵¹ მაგალითად, ზოგიერთ „ვირტუალურ საზოგადოებაში“,⁵² ხოლო ფული არ არის საქონელი, საგადასახადო კოდექსის მიხედვით.⁵³ თუმცა ეს არგუმენტი არ მიესადაგება NFT-ებს, რადგან ისინი არის არაგვაროვნული ბუნების და ვერ გამოიყენება გაცვლის საშუალებად. შესაბამისად, ბუნდოვანია, ჩაითვლება თუ არა NFT საქონლად საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

ერთი შეხედვით, აღარ არის ქართული სამართლის ჭრილში NFT-ების შემდგომი გაანალიზების საჭიროება, რამდენადაც NFT ჯერჯერობით არ წარმოადგენს კერძო სამართლის ობიექტს, თუმცა კვლევის მიზნის გათვალისწინებით, ქართული კერძო სამართლის ობიექტად NFT-ების ჰიპოთეტური დაშვების პირობებში, ყურადღება შეიძლება გამახვილდეს NFT პროექტების არსებით მახასიათებლებზე.

3.3. NFT-ები ქართული საინვესტიციო სამართლის ჭრილში

აშშ-ის სამართლისგან განსხვავებით, საქართველოს სამართალი არ შეიცავს სახელმწიფო ორგანოს მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებას იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ციფრული აქტივები იყოს ფასიანი ქალაქები, წილები ან საინვესტიციო პროდუქტები. ამის მიუხედავად, განხილულ უნდა იქნეს, პირველ რიგში, შეიძლება თუ არა NFT პროექტი წარმოადგენდეს საინვესტიციო ხელშეკრულებას, და, მეორე, შეიძლება თუ არა NFT პროექტი განიხილებოდეს როგორც საინვესტიციო ფონდი.

⁴⁸ იქვე, 147-ე მუხლი.

⁴⁹ იქვე, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი.

⁵⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 54, 12/10/2010.

⁵¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 28 ივნისის №201 საჯარო გადაწყვეტილება „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“, 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ვებგვერდი, 01/07/2019, იხ. ციტირება: *European Central Bank, Virtual Currency Schemes – A Further Analysis*, 2015, 4, <<https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/virtualcurrencyschemesen.pdf>> [10.06.2022].

⁵² იქვე, 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁵³ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 54, 17/09/2010.

3.3.1. NFT პროექტი როგორც საინვესტიციო ხელშეკრულება

ქართული სასამართლო პრაქტიკა, ამერიკულისგან განსხვავებით, არ შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებშიც დეტალურად განხილული იქნებოდა საინვესტიციო ხელშეკრულების მახასიათებლები ან რომლებიც ჩამოაყალიბებდა ტესტს იმის გასარკვევად, არის თუ არა მოცემული სამართლებრივი მოვლენა საინვესტიციო ხელშეკრულება. მხოლოდ „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში – ფქკ) განმარტავს საინვესტიციო ხელშეკრულებას როგორც ხელშეკრულებას, „რომლის მიხედვითაც ინვესტორი აძლევს სხვა პირს ფულს ან სხვა უფლებას საკუთრებაზე ეკონომიკურ საქმიანობაში დასაბანდებლად, შესაძლო შემოსავლის მიღების მიზნით.“⁵⁴

NFT პროექტების ჭრილში დაკმაყოფილებულია მესამე პირისთვის „საკუთრებაზე სხვა უფლების“ გადაცემის რამდენიმე წინაპირობა. პირველი: NFT-ის მყიდველი (ინვესტორი) NFT პროექტის გუნდს (მესამე პირს) NFT-ის ან NFT-ების სანაცვლოდ უზღის კრიპტოვალუტას, რომელიც არ არის ფული საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.⁵⁵

რაც შეეხება მეორე წინაპირობას, საგადასახადო კოდექსი ეკონომიკურ საქმიანობად აღიქვამს ნებისმიერ საქმიანობას, „რომელიც ხორციელდება შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ამ საქმიანობის შედეგისა.“⁵⁶ NFT პროექტის განხორციელება ერგება აღნიშნულ განმარტებას.

მესამე წინაპირობაა შემოსავლის მიღების მიზანი. NFT პროექტის ფარგლებში NFT-ის ყიდვა სრულად ვერ აკმაყოფილებს ამ წინაპირობას. NFT-ების მფლობელები ყოველთვის არ გეგმავენ შემოსავლის მიღებას. როგორც აღინიშნა, ხშირად NFT-ებს ფლობენ როგორც საკოლექციო ერთეულებს, გადაყიდვის განზრახვის გარეშე. აქ განმსაზღვრელი უნდა იყოს სიტყვასიტყვითი განმარტება: საგადასახადო კოდექსში მოცემული რომ ყოფილიყო სიტყვა „სარგებელი“ და არა „შემოსავალი“, აშშ-ის სამართლის მსგავსად, შესაძლებელი იქნებოდა იმ არგუმენტის მოტანა, რომ NFT-ის ღირებულების გაზრდა დააკმაყოფილებდა აღნიშნულ წინაპირობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, NFT პროექტი ვერ იქნება განმარტებული საინვესტიციო ხელშეკრულებად ქართული სამართლის მიხედვით.

3.2.2. NFT პროექტი როგორც საინვესტიციო ფონდი

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში – საინვესტიციო ფონდების კანონი) განმარტავს საინვესტიციო ფონდს როგორც „კოლექტიურ

⁵⁴ „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 34-ე პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1(8), 14/01/1999.

⁵⁵ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 28 ივნისის №201 საჯარო გადაწყვეტილება „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“, 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი, ვებგვერდი, 01/07/2019.

⁵⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 54, 12/10/2010.

საინვესტიციო სქემას, რომელიც ინვესტორებისგან იზიდავს კაპიტალს ამ კაპიტალის განსაზღვრული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად ინვესტორების სასარგებლოდ ინვესტირების მიზნით.⁵⁷

პირველი საკითხია იმის გარკვევა, არის თუ არა NFT პროექტი კოლექტიური საინვესტიციო სქემა. საინვესტიციო ფონდების კანონი კოლექტიურ საინვესტიციო სქემას განმარტავს როგორც „იურიდიულ პირს ან სახელშეკრულებო სქემას“,⁵⁸ რომელიც, თავის მხრივ უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონით გათვალისწინებულ სულ მცირე ერთ წინაპირობას. პირველია „ჩვეულებრივი კომერციული ან სამრეწველო“ მიზნების არარსებობა.⁵⁹ NFT პროექტები აკმაყოფილებს ამ წინაპირობას: ისინი არ ისახავს მიზნად „ჩვეულებრივი სავაჭრო ან სამრეწველო საქმიანობის განხორციელებას“. ისინი ძირითადად ეხება მხატვრობის, მუსიკისა და ზოგადად კულტურის სფეროებს. NFT პროექტთა გუნდები არ განიზრახავენ უბრალოდ კაპიტალის დაგროვებას თავიანთი NFT-ების გაყიდვით. ისინი ცდილობენ, შექმნან კულტურულად ღირებული საკოლექციო ერთეულები NFT-ების ფორმით, ლეგიტიმური ემოციონალური და ისტორიული ფონით. მეორე წინაპირობა გულისხმობს „ინვესტორებისგან მოზიდული კაპიტალის“ თავმოყრას, რათა განხორციელდეს მისი ინვესტირება „საერთო მოგების გენერირების მიზნით.“⁶⁰ ეს წინაპირობა არ არის დაკმაყოფილებული. პირველ რიგში, როგორც აღინიშნა, NFT პროექტების გუნდები ქმნიან და სავაჭროდ ათავსებენ NFT კოლექციებს არა წინასწარ მოზიდული ერთიანი კაპიტალის, არამედ საკუთარი რესურსების გამოყენებით. მეორე, NFT პროექტების გუნდებს არ სჭირდებათ ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების ძებნა, რამდენადაც თვითონ NFT კოლექციებია მზა პროექტი. მესამე, როგორც აღინიშნა, ერთად თავმოყრილი კაპიტალიდან შემოსავალი არ ნაწილდება NFT-ების მფლობელებზე. მესამე წინაპირობა არის ის, რომ „ერთეულის მფლობელებს კოლექტიურად არ აქვთ ყოველდღიური მართვის განხორციელების ან გადაწყვეტილების მიღების უფლება.“⁶¹ აგრეთვე დაზუსტებულია, რომ თუნდაც ინვესტორთა ნაწილს მინიჭებული ჰქონდეს „გადაწყვეტილების მიღების უფლება“, კოლექტიური საინვესტიციო სქემა მაინც ჩაითვლება საინვესტიციო ფონდად.⁶² მესამე წინაპირობა შეიძლება დაკმაყოფილდეს. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, მენეჯერული გადაწყვეტილებების უმეტესობა მიიღება NFT პროექტის გუნდის მიერ, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა გაიმართოს დისკუსიები NFT-ების მფლობელებთან, როდესაც საქმე ეხება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, მაგალითად, NFT კოლექციის ახალი ხაზის დაწყებას. შედეგად, ზემოთ მოცემული მსჯელობის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ ორი წინაპირობა (ჩვეულებრივი სავაჭრო ან სამრეწველო მიზნისა და ყოველდღიური კონტროლის არარსებობა) შესაძლოა დაკმაყოფილებულ იქნეს, NFT პროექტი უდიდესი ალბათობით პრაქტიკაში ვერ

⁵⁷ „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი, ვებგვერდი, 22/07/2020.

⁵⁸ იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁹ იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁶⁰ იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁶¹ იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁶² იქვე.

იქნება მიჩნეული კოლექტიურ საინვესტიციო სქემად, რადგან გაცილებით მნიშვნელოვანი წინაპირობა, როგორცაა კაპიტალიზაცია, არ არის დაკმაყოფილებული.

მეორე წინაპირობა, კაპიტალის მოზიდვის წინაპირობას NFT პროექტები ვერ აკმაყოფილებს, როგორც ზემოთ იქნა განხილული.

მესამე წინაპირობის ნაწილი, კაპიტალის ინვესტირება, აგრეთვე განხილულ იქნა ზემოთ. როგორც აღინიშნა, NFT პროექტთა გუნდები არ იზიდავენ კაპიტალს წინასწარ, სხვა პროექტებში ინვესტირებისთვის. შესაბამისად, აღარ არის საჭირო მეორე ასპექტის – „განსაზღვრული საინვესტიციო პოლიტიკის“ შემდგომი ანალიზი, მაგრამ ეს ასპექტი მაინც გამოუსადეგარი იქნებოდა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ NFT პროექტების გუნდები, ჩვეულებრივ, აქვეყნებენ თავიანთ ბიზნეს-გეგმას, რთულია მათი კლასიფიცირება საინვესტიციო პოლიტიკად.

შესაბამისად, კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ NFT პროექტები არ შეიძლება განიხილებოდნენ საინვესტიციო ფონდებად.

4. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე კვლავ ბუნდოვანია NFT პროექტების საინვესტიციო ხელშეკრულებებად ან საინვესტიციო ფონდებად ოფიციალურად აღიარების პერსპექტივა. ამჟამინდელი რეგულატორული გაურკვევლობისა და სამართლის განჭვრეტადობის შეუძლებლობის გამო, მნიშვნელოვანია, NFT პროექტების შემქმნელები საქმის კურსში იყვნენ შესაძლო სამართლებრივი და საკანონმდებლო საკითხების, ინიციატივების თაობაზე, რათა სწრაფად მოახდინონ რეაგირება საკანონმდებლო ცვლილებებზე.

შესაბამისი რეგულაციები უნდა იქნეს შემოღებული მხოლოდ NFT პროექტებში პრაქტიკულად ჩართულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ. აგრეთვე, სამართლებრივი მონესრიგება უნდა განსხვავდებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რა სახის აქტივია წარმოდგენილი NFT-ის მიერ. მაგალითად, მარეგულირებლებს უნდა ჰქონდეთ განსხვავებული მიდგომა იმ NFT-ების მიმართ, რომლებიც წარმოადგენს მაგალითად, ხელოვნებას, უძრავ ქონებას და სხვა.

ბიბლიოგრაფია:

1. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი, 22/07/2020.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 12/10/2010.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 28 ივნისის №201 საჯარო განცხადება „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“, 01/07/2019.
5. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/01/1999.
6. Arizona Revised Statutes, Title 44 – Trade and Commerce, Chapter 26 – Electronic Transactions Act, Thomson Reuters, < <https://www.azleg.gov/viewdocument/?docName=https://www.azleg.gov/ars/44/07061.htm> > [01.06.2022].

7. The United States Code, Title 15 – Commerce and Trade, Chapter 2A – Securities and Trust Indentures, Securities Act of 1933, Sub-chapter I – Domestic Securities, Statute №48, 74, 27/05/1933, <<https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-1884/pdf/COMPS-1884.pdf>> [10.06.2022].
8. Gesetz über Token und VT-Dienstleister, Liechtensteinisches Landesgesetzblatt, 2019-301, 950.6, 01/01/2020.
9. *Bine P., Robertson E., Toms S., Koenigsberg S., Kari N., Reeves A. B., Vianesi G.*, Regulatory Approaches to Nonfungible Tokens in the EU and UK, Skadden, Arps, Slate, Meagher & Flom LLP, 2021, 1, <<https://www.skadden.com/insights/publications/2021/06/regulatory-approaches-to-non-fungible-tokens>> [12.06.2022].
10. *Di Bernardino C., Chomczyk Penedo A., Ellul J., Ferreira A., Von Goldbeck A., Herian R., Siadat A., Siedler N.*, NFT – Legal Token Classification, EU Blockchain Observatory and Forum, 2021, 2, <<https://www.eublockchainforum.eu/research-paper/nft-legal-token-classification>> [10.06.2022].
11. *Doan A. P., Johnson R. J., Rasmussen M. W., Lyons Snyder C., Sterling J. B., Grayson Yeargin D. G.*, NFTs: Key U.S. Legal Considerations for an Emerging Asset Class, Journal of Taxation of Investments, Vol. 38, Issue 4, 2021, 63, 64, <https://www.civresearchinstitute.com/online/article_abstract.php?pid=3&iid=1606&aid=10029> [31.08.2021].
12. *European Central Bank*, Virtual Currency Schemes – A Further Analysis, 2015, 4, <<https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/virtualcurrencyschemesen.pdf>> [10.06.2022].
13. *Ibáñez L., Hoffman M. R., Choudhry T.*, Blockchains and Digital Assets, University of Southampton, EU Blockchain Observatory and Forum, 2021, 3, <<https://www.eublockchainforum.eu/knowledge>> [09.06.2022].
14. *Levin R. B., O'Brien A. A., Zuberi M. M.*, Real Regulation of Virtual Currencies, *Lee Kuo Chuen D. (ed.)*, Handbook of Digital Currency: Bitcoin, Innovation, Financial Instruments, and Big Data, Academic Press, Amsterdam, 2015, 331-332.
15. *Levin R. B., Tran K.*, The Regulation of Non-Fungible Tokens in the United States, Fintech Laws and Regulations, *Beauchamp T., Wink S., Valdez Y. (eds.)*, Global Legal Insights, 3rd Edition, New York, 2021, <<https://www.globallegalinsights.com/practice-areas/fintech-laws-and-regulations/2-the-regulation-of-non-fungible-tokens-in-the-united-states>> [11.06.2022].
16. *Levin R. B., Waltz P., LaCount H.*, Betting Blockchain Will Change Everything – SEC and CFTC Regulation of Blockchain Technology, *Lee Kuo Chuen D., Deng R. (eds.)*, Handbook of Blockchain, Digital Finance, and Inclusion, Vol. 2, Academic Press, Singapore, 2017, 200.
17. *Melinek J.*, Open Sea Polygon NFT Sales on Track to Hit 2.2M by End of January, Blockworks, 2022, <<https://blockworks.co/opensea-polygon-nft-sales-on-track-to-hit-2-2m-by-end-of-january/#:~:text=The%20total%20market%20capitalization%20of,from%201confirmation%20and%20CoinMarketCap%2C%20respectively.>>> [06.01.2022].
18. *Natarajan H., Krause S., Gradstein H.*, Distributed Ledger Technology and Blockchain, FinTech Note No. 1, World Bank, International Bank for Reconstruction and Development, Washington DC, 2017, iv, <<https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/29053>> [12.06.2022].
19. The United States Securities and Exchange Commission, Framework for “Investment Contract” Analysis of Digital Assets, 2019, <<https://www.sec.gov/corpfin/framework-investment-contract-analysis-digital-assets>> [12.06.2022].
20. The United States Securities and Exchange Commission, In re Barkate, (2004), Exchange Act Rel. No. 49542, 57 S.E.C. 488, 496 n. 13, <<https://www.sec.gov/litigation/opinions/34-49542.htm>> [12.06.2022].
21. The United States Securities and Exchange Commission, In re Tomahawk Exploration LLC, Securities Act Rel. No. 10530, 2018, 2, 7, <<https://www.sec.gov/litigation/admin/2018/33-10530.pdf>> [10.06.2022].

22. *The United States Securities and Exchange Commission*, Report of Investigation Pursuant to Section 21(a) of the Securities Exchange Act of 1934: The DAO, Exchange Act Rel. No. 81207, 2017, 6, 11, 12, 15 <<https://www.sec.gov/litigation/investreport/34-81207.pdf>> [12.06.2022].
23. The United States Securities and Exchange Commission, Statement on Digital Asset Securities Issuance and Trading, 2018, <<https://www.sec.gov/news/public-statement/digital-asset-securities-issuance-and-trading>> [12.06.2022].
24. *The United States Securities and Exchange Commission v. Edwards*, (2004), 540 US 389, 394.
25. *Revak v. SEC Realty Corp.*, 18 F.3d 81, 87, 88, 89 (2d Cir. 1994).
26. *Uselton v. Commercial Lovelace Motor Freight, Inc.*, 940 F.2d 564, 574 (10th Cir. 1991).
27. *Reves v. Ernst & Young*, (1990), 494 US 56.
28. *Long v. Shultz Cattle Co., Inc.*, 881 F.2d 129, 140-141 (5th Cir. 1989).
29. *Hart v. Pulte Homes of Michigan Corp.*, 735 F.2d 1001, 1004 (6th Cir. 1984).
30. *United Housing Found., Inc. v. Forman*, (1975), 421 US 837, 849.
31. *The United States Securities and Exchange Commission v. Koscot Interplanetary, Inc.*, 497 F.2d 473, 479 (5th Cir. 1974).
32. *The United States Securities and Exchange Commission v. Glenn W. Turner Enter., Inc.*, 474 F.2d 476, 482 (9th Cir.), certiorari denied, 414 U.S. 821, 94 S. Ct. 117, 38 L. Ed. 2d 53 (1973).
33. *Tcherepnin v. Knight*, (1967), 389 US 332, 336.
34. *The United States Securities and Exchange Commission v. W.J. Howey Co.*, (1946), 328 US 293, 298-299, 301.